წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპირო. ქ. № 30. პირველი სართული.

ოთხშაბ. 25 ოქტომბერი 1922 წ.

№ 127 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 127

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

წითელ არმიაში მეტ-ნაწილად თავმოყრილია მუშებისა და გლეხების შვილები, რომლებიც სიღარიბისა თუ წინანდელ მთავრობების რეჟიმის გამო, ყველა უვიცობაში იმყოფებოდნენ.

ჩვენ გვახსოვს ნიკოლოზის მთავრობა, რომელიც საშინელი წინააღმდეგი იყო ფართო მასაში სწავლა-განათლების შეტანისა; ასეთსავე გზას ადგნენ ბ. ბ. მენშევიკებიც თავის საქართველოში ბატონობის ჟამს.

ეს არც გასაკვირი იყო ამ მთავრობებიდან, რადგან ისინი, როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფოების მეთაურები, წინააღმდეგი იყვნენ ფართო მასებში სწავლა-განათლების შეტანისა, წინააღმდეგნი იყვნენ მშრომელთა განვითარებისა, რადგან კარგათ იცოდნენ, რომ განვითარებული და თვალებ ახელილი მშრომელი მასა, მათ ბატონობასაც ვერ მოითმენდა და ადრე თუ გვიან დაამხობდა მათ ტირანობას.

საბჭოთა მთავრობა კი, მთავრობაა მუშებისა და გლეხების, რომელმაც დარაზმა ეს უკანასკნელნი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, და მაშასადამე, ეგ ბრძოლაც რომ გამარჯვებით დააგვირგვინოს, საჭიროა მშრომელი მასსა აღჭურვოს ყველაზე მეტ ბასრ და მჭრელ მახვილით — სწავლა-განათლებით...

ამისათვისაც იყო, რომ საბჭოთა რესპუბლიკებმა იმ თავიდანვე მოჰფინეს უზარმაზარი ტერიტორიები სასწავლებელთა ქსელებით, სადაც მილიონობით იძენენ სწავლას მშრომელნი, როგორც ბავშვები, ისე მოზრდილნიც.

საბჭოთა მთავრობამ წ. არმიაც უზარმაზარ სკოლათ გადააქცია, სადაც ყველა ნაწილს და ჯგუფს მიუჩინა თავისი მასწავლებლები, რომლებსაც ლიკვიდაცია უნდა ეყოთ წით. არმიელთა რიგებში ის საშინელ სენისთვის, როგორიც წერა-კითხვის უცოდინარობაა.

ამ სფეროში დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ რუს. ძლევა-მოსილმა წითელმა არმიამ, სადაც დღეს ძნელათ იპოვით წერა-კითხვის უცოდინარს — წითელ არმიელს...

საქ. საბჭ. მთავრობაც ამავე გზას დაადგა თავის წ. არმიის განვითარების საქმეში და მანაც თავიდანვე, არმიის ნაწილები მოჰფინა სასწავლებელთა ქსელით...

გაჩაღდა მუშაობა და ბევრი ჩვენი წით. არმ. შესძლეს თავის დაღწევა იმ სენიდან, როგორიც წერა-კითხვის უცოდინარობაა.

ამხ. ტროცკის ბრძანების და მიხედვით კი 1-მაისისათვის უნდა დაეთავებიათ წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია, რის შემდეგ უნდა გადასულიყვნენ მეორე საფეხურიან სკოლებში სამაცადინოთ, მაგრამ როგორც ზოგი ნაწილების პირადათ დათვალიერებამ დამარწმუნა, არა თუ უფრო მაღალი სწავლის მიღების დაწყება, არამედ თვით წერა-კითხვის უცოდინარობაც არ არის მოსპობილი მთლად და ეს მაშინ, როცა ტროცკის ბრძანების და მიხედვით 1-ლ მაისისთვის უნდა დასრულებულიყო ამ სფეროში მუშაობა. არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არ ვსქვათ **მცველ-მხლებელთა ათასეულის** ზოგი წ. არმიელზე: მაგ. როგორც პირადი დაკითხვიდან გამოირკვა ზოგი წ. არმიელთ სრულებით არ ცოდნიათ წერა-კითხვა და ეს მაშინ, როცა ისინი უკვე თვეა რაც ჯარში იმყოფებიან. როცა ვკითხე არმიელთ: რაა მიზეზი, რომ ამდენ ხანს წერა-კითხვა ვერ შეგისწავლიათქო, მიპასუხეს: რაფერ შეგვიძლია, ამხანაგო, ვისწავლოთ, როცა ყოველ დღე სადარაჯოებზე ვიმყოფებითო. ეს კი ყოვლად დაუშვებელია... ჩვენი მიზანია ყველა წ. არმიელი გახდეს ისეთი, რომ ღირსეული მოქალაქე შეიქმნეს საბჭოთა საქართველოსი, ხოლო ასეთი გულ-გრილი მოპყრობა კი წით. არმიელებისადმი ამას ხელს შეუშლის.

ამისთვის ჩვენ მივაქცევთ ამ გარემოებაზე ყველა მასწავლებლის, სამხკომების და ნაწილების უფროსთა ყურადღებას, რომ სერიოზულათ მოკიდონ ხელი, წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციას ჩვენ ჯარში და ერთხელ და სამუდამოთ ეცადონ მისი ფესვების ამოგდებას რესპუბლიკის საკეთილდღეოთ.

წითელი პრესა

ლოიდ ჯორჯის გადადგომა რეაქციის გაძლიერებაა.

„ზარია ვასტოკას" მოწინავე სწერს „ამან წინად იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია ლოიდ-ჯორჯის გადადგომით უკანასკნელი იყო თავის პოსტზე მაგრად იმიტომ, რომ მას მხარს უჭერდა ორი შეერთებული პარტია კონსერვატორების (მემამულეები და მსხვილი კაპიტალისტები) და ლიბერალურ (წვრილი ბურჟუაზია, საშუალო კაპიტალისტი დაშრამდენიმეთ მოხელეები).

ინგლისსა და საფრანგეთს შორის უკანასკნელ, უთანხმოებით ამ პარტიათა კავშირი დაიშალა და ლოიდ-ჯორჯი იძულებული შეიქნა გადამდგარიყო. კანსერვატორებს არ უნდოდათ შეეწყვიტათ კავშირი საფრანგეთთან, როცა ლოიდ-ჯორჯის გულწრფელი სურვილი იყო დაექსაქსა საფრანგეთი.

ლოიდ-ჯორჯის მემკვიდრე ბონარ-ლოუ რომელიც მომხრეა კონსერვატორების, ალბათ შეუდგება საფრანგეთთან შეთანხმების პოლიტიკის წარმოებას, რაც მიასწავებს:

დარდანელში საფრანგეთის თვალსაზრისის გაყვანას.

გერმანიაში დიდი კონტრებუციის ალებას საფრანგეთის მიერ.

მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ.

ბლოკადა წინანდელი. წითელ რესპუბლიკებმა უნდა ფრთხილად იყვნენ. საფრანგეთ—ინგლისის კავშირი ემუქრება საერთაშორისო მუშათა კლასს და მის რევოლიუციონურ მოძრაობას. ლოიდ-ჯორჯის გადადგომა კი ევროპაში აძლიერებს რეაქციას.

დღევანდელი ცნობები

— ბონარ-ლოუს კაბინეტში ძველ მინისტრებიდან რჩება კერზონი.

— რეგისტრაციაში გატარებულია ინგლისში 1. 3000. 000 უმუშევარი მუშა.

— სტამბოლში ჩასულ რეფილ-ფაშას სტამბოლში მუსულმანი მცხოვრებნი დიდის ზეიმით შეხვდენ.

ახლო აღმოსავლეთის ამბები.

— მოკავშირეთა მისიამ ერთხმად დაადგინა ქემალისტების ჟანდარმერიას, რომელიც დანიშნულია ფრაკიაში, აუკრძალოს სტამბოლზე გადასვლა.

— ბრიტანიის ფლოტმა მიიღო ბრძანება დაიკავოს ყველა გემები, რომელთაც გადაჰყავთ ოსმალეთის პოლიცია.

— სტამბოლში ჩასულ რეფილ-ფაშას შეხვდა 500.000 მუსულმანი მცხოვრები. სტამბოლის მთავრობამ გაგზავნა რეფილ-ფაშას შესახვედრათ მემკვიდრე მეჯლისი და შინაგან საქმეთა მინისტრი. რეფილ-ფაშამ განაცხადა, რომ მისთვის არ არსებობს სტამბოლის შინაგან საქმეთა მინისტრი, ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრი იმყოფება ანგორაში. მემკვიდრეს შესახებ სთქვა, — თუ ოსმალეთს ყოლოდა მემკვიდრე იგი იქნებოდა ანგორაში.

— ანგორის ოფიცოზში „ხაკიმიედ მილიეში" მოთავსებულია მოწინავე მანჩესტერში ლოიდ-ჯორჯის მიერ წარმოთქმულ სიტყვის შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

— ამხ. ტროცკიმ რ. კ. პ. მოსკოვის ორგანიზაციის წევრთა კრებაზე განაცხადა: „ახალი ეკონომიური პოლიტიკის წყალობით ჩვენ რამდენიმეე უკან დავიხიეთ, მაგრამ გავმაგრდით ახალ პოზიციებზე. პერსპექტივამ შეაჩოჩქოლა ჩვენი მოწინააღმდეგენი, მუშათა კლასმა ეხლა უნდა შეითვისოს ბურჟუაზიულ კაპიტალისტური მეთოდები და აწარმოოს ბირჟის ოპერაციები, სანამ ის შესძლებდეს გადასვლას სწორ აღრიცხვაზე, გეგმა შეწონილ მეურნეობაზე, მუშა ძალის მიზან შეწონილ მომხმარებაზედ სხვა. ჩვენი რევოლიუციის 5 წლის პერიოდი არ არის ის ისტორიული მასშტაბი, რომლითაც შეიძლებოდეს ჩვენი რევოლიუციის სამეურნეო მიღწევების შეფასება. 5 წელიწადი ეს უმნიშვნელო პერიოდია შედარებით იმ დიდ ამოცანასთან, რომელიც დაისახა საბჭოთა ხელის უფლებისა და რუსეთის წინაშე — იმ ამოცანებთან ერთად, რომელიც შეცვლის იმპერიალისტურ მოძრაობას სოციალისტურ აღმშენებლობაზე."

შემდეგ შეეხო რა ლოიდ-ჯორჯის გადადგომას ამხ. ტროცკის განაცხადა: „ერთად ერთი ძველი მთავრობა ჩვენი მთავრობის შემდეგ, გადადგა. ალბად ლოიდ-ჯორჯმა მოისურვა მოეხდინა სიურპრიზი ჩვენი რევოლიუციის 5 წლის იუბილესათვის. „ინგლისში არ არის დაკარგული იმედი სახელმწიფოს სათავეში მუშათა პარტიის მოქცევისა და ბურჟუაზიასთან კოალიციისა საფრანგეთში ხელისუფლებასთან მივა ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთა ერრიოს მეთაურობით. კომპარტიისათვის ეწყობა დიდათ სასურველ მდგომარეობა. კომპარტია შეიქმნება ერთად ერთი ოპოზიციის პარტია საფრანგეთსა და ინგლისში. სანამ გაიშლებოდეს სოციალური რევოლიუცია ჩვენ უნდა გავრწრთვნათ ჩვენი ცოდნა ყველა დარგში და შევქმნათ წითელი სპეცები".

სხვა და სხვა ამბები

იტალია.

— გაზ. „კარირიერა დელა სერა" აცხადებს, რომ ლოიდ-ჯორჯს არ შეეძლო გაეგო და ესურვა იტალიასთან გულწრფელი და ჭეშმარიტი შეთანხმება.

— გაზ. „ტრიბუნა" ფიქრობს, რომ ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკური მოღვაწეობა ჯერ კიდევ დასრულებული არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წითელ ჯარში

ბანდიტიზმის წინააღმდეგ

10 ოქტ. მეორე საარტილერიო დივიზიონის კლუბში გამართულ იქმნა დიდი მიტინგი, რომელსაც დაესწრო მთელი შემადგენლობა დივიზიონისა და მუხროვან ხაშმის მცხოვრებნი. მოხსენება გააკეთა ამხ. ყაჭეიშვილმა ყაჩაღი ჩოლოყაშვილისა და მისი ბანდის შესახებ. დაწვრილებით დახასიათა მათი მუხანათური მოქმედება შეეხო ჩოლოყაშვილის ბანდას მენშევიკების, ნაციონალისტების და მემარჯვენე ს-ფედერალისტების კავშირს, მუშათა და გლეხთა ხელის უფლების წინააღმდეგ. მომხსენებელმა მოუწოდა დამსწრეთ მუშათა და გლეხთა ხელის უფლების განმტკიცებისათვის ბრძოლისაკენ, ბანდიტიზმის და სხვა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციების წინააღმდეგ. მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც გმობს მუხანათ ბანდიტების მოქმედებას და გამოსთქვამს მზად ყოფნას მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

№

პოლიტგანკომის მუშაობა 1-ლ საარტილერიო დივიზიონში.

ივნისის თვეში 1-ლ საარტილერიო დივიზიონის 1-ლ და 3 ბატარეის შეერთებულ კრებაზე ავირჩიეთ დივიზიონის მაშტაბში, პოლიტგანმანათლებელი კომისია 7 წევრისაგან შემდგარი. ხსენებულმა პოლიტგანკომმა დიდი უნარი გამოიჩინა ბანაკში ყოფნის დროს. დაარსა სხვა: და, სხვა წრეები როგორიც არის ლიტერატურული, დრამატიული, მუსიკალური, პოლიტიკური და სხვა.

ხარის-თვალზე (რაჭის მაზრა) ყოფნის დროს სამხედრო მეცადინეობის შემდეგ ვერ ნახავდით ერთ წ. მოლაშქრეს უსაქმოდ მოხეტიალეს, ყველანი მეცადინეობდენ. ყოველ ორ კვირაში ერთხელ სისტემატიურათ ლიტერატურული წრე ასამართლებდა ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებიდან სხვა და სხვა გმირებს. დრამატიული წრის ხელმძღვანელობა თავზე იდვა ამავე დივიზიონის არტილერიის ტეხნიკოსმა ამხ. კვანტრიშვილმა. რომელიც ყოველ კვირაში ერთხელ სდგამდა წარმოდგენებს წ. არმიელთათვის, იქმნა მოწყობილი სცენა ტყის პირას, რასაც ბუნებრივი მდებარეობა ხელს უწყობდა. წარმოდგენის დროს მონაწილეობას იღებდა როგორც ლიტერატურული ისე მუსიკალური წრე. წარმოდგენის დაწყების წინ ეწყობოდა ცოცხალი სურათები. წ. ლაშქრელები დიდი კმაყოფილი იყვნენ. დრამატიულმა წრემ არ დაივიწყა არც ბანაკიდან 7 ვერსზედ მდებარე სოფელ ნიკოწმინდის მშრომელი გლეხობა და სამჯერ გაუშვა უფასო წარმოდგენა ხსენებულ სოფელში.

ჩვენმა წითელ ლაშქრელებმა საზოგადოთ დიდი სიმპატია და პატივისცემა დაიმსახურეს ადგილობრივ გლეხობაში.

23 აგვისტოს გამოვემგზავრეთ ქალ. ქუთაისში. იმედი გვქონდა ჩვენი პოლიტგანკომი არც აქ მოგვაკლებდა სულიერ საზრდოს და არ მიაძინებდა წრეების მეცადინეობას, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ის ავად გახდა ამის გამო ერთი თვე არის, რაც ქუთაისში ვართ და ჯერჯერობით წრეების მუშაობის საქმე ძლიერ ცუდათ მიმდინარეობს

ევტიხი ჩერქეზია.

ნუ თუ მართალია?

ამას წინად მე-2-ე ლეგიონში (კლუბის შენობაში) გაუშვეს კინო დრამა (в пути жизни). პირადათ მე მთხოვეს გამეკეთებინა კანტროლი, მეც უარი არ ვსთქვი და ავედი ლოჟაში კონტროლის გასაკეთებლად. ბილეთები ლოჟის არ გაყიდულა, მაგრამ ლოჟაში კი იყო 18-დე ქალი, ამხ. კლუბის გამგე გოცირიძის შემოყვანილი ნაცნობობით. ამავე დროს ბიბლიოთეკის გამგეს ამხ. გვანცალაძეს შემოყავს ათი ქალი. ასე გაყიდეს იმ ღამეს ბილეთები, რომლის დანიშნულება უსათუოდ დიდი და პატივსადები იყო.

მამალი.

ასეთი „სამკორი“ არაა საჭირო.

1-ლი შეერთებული სამხედრო სკოლის სამნეო ასეულში გვყავდა სამკორი რომელიც არაფერს არ გვიკეთებდა. შემდეგ ამოვირჩიეთ მეორე, რომლისაც დიდი იმედი გვქონდა, მაგრამ არ გამართლდა. პირველ ამორჩევის დღიდანვე სამი წერილი კი მოათავსა და შემდეგ სავსებით მიანება თავი. რომ კითხოთ, რისთვის არ სწერ წერილებს გაზეთშიო, ის გიპასუხებთ; „რა დავსწეროვო“. საუბედუროთ ჩვენს ასეულში ბევრი მასალები მოიძებნება კვირაში ერთი წერილი, რომ დაიწეროს ჩვენს გაზეთში. ამხ. სამკორს თუ არ შეუძლია მოვალეობის ასრულება უნდა უარი განაცხადოს და ამხანაგები სხვას ამოირჩევენ, რომელიც იმუშავებს და არ დაიძინებს.

წ. არმ. **ჟიუდიკი.**

კოოპერაცია.

კოოპერაციის შესახებ.

(მოხსენება გოგოლაძისა).

(გაგრძელება)

რა შედეგი მოჰყვა ამ პატარა საქმეს გერმანიაში 1914 წელს გერმანიაში არსებობდა 28.173 კოოპერატივი. მათი საკუთარი თანხა უდრიდა 573 მილიონ მარკას, ესე იგი 19.000.000 მანეთს (მარკა 30 კაპეიკი).

ჩვენ გავეცანით მოკლედ მხოლოდ ინგლისის და გერმანიის კოოპერაციების წარმოშობის ისტორიას იმიტომ, რომ ამ სახელმწიფოებში კოოპერაციის მიერ განვლილი გზით ვითარდებოდა კოოპერაცია სხვა სახელმწიფოებშიაც.

გავეცნათ მოკლეთ ყოფილ რუსეთის კოოპერაციას. როგორი წარსული აქვს კოოპერაციას რუსეთში? აქ მან განიცადა სამი ხანა, იმის დამიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა ის. პირველი ხანა შეიცავს 1865 წლიდან 1874 წლამდის. ამ დრო განმავლობაში სჭარბობდა სამოქალაქო კოოპერატივების ტიპი. მეორე — 1875 წლიდან 1889 წლამდის. ეს დრო ძლიერდება მით, რომ იწყება საქარხნო კოოპერატივები. ხოლო მესამე ხანა ხასიათდება 1900 წლიდან სასოფლო საზოგადოებათა დაარსებით. პირველი პერიოდის სამოქალაქო საზოგადოები, განსხვავდება მეორე პერიოდის საზოგადოებებისაგან მით, რომ პირველთა შემადგენლობას შეიცავდა წარჩინებულ ნაწილს მოქალაქეთა, სახელდობრ მდიდრები და ამიტომაც იმ დროის კოოპერაციას ღარიბი ხალხი მხედველობაში არ ქონდა. მე ვსთქვი, რომ კოოპერაცია თვით მოქმედებას და ურთიერთშორის ამხანაგურათ შეკავშირებული წევრების დახმარების შედეგია. რამდენათ ეს ღარიბებმა თუ ვერ მოახერხეს. მდიდრები სრულიათაც თავს არ შეიწუხებენ ამისათვის, რადგანაც მდიდრების და ღარიბების მოთხოვნილებათა გემო სულ სხვა და სხვაა. მე დავასახელებ მაგილითად მდიდრების ერთ სამომხმარებლო საზოგადოებას (კოოპერაციას) რომელსაც ერქვა „ბერეჟლივოსტი“. ეს გაიხსნა პეტროგრადში 1866 წელს ცნობილი პირების ხელმძღვანელობით. იქ ვაჭრობა წარმოებდა არა პირველ მოთხოვნილების საგნებით, როგორიცაა მაგილითად: პური, ხორცი, ქართოფილი. არა, აქ ვაჭრობდნენ ვაშლით, ტრიუფელით (სოკოა ძვირფასი, იზრდება მიწის ქვეშ) შვეიცარიის ყველით, სარდინკებით, საკარეტო სანთლებით. მოქონდათ საუკეთესო ყვავილები და სურნელობანი და სხვა ასეთები.

ყოველივე ეს აკმაყოფილებდა მხოლოდ მდიდართა გემოვნებას, მაგრამ სრულიად არ შეეფერებოდა ღარიბთა პირველ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. თავისთავათ ცხადია, რომ ამისთანა კოოპერატიულ საზოგადოებას ღარიბ წევრების შეძენა შეუფერებლად მიაჩნდათ, რადგანაც, მდიდრების აზრით, ეს ცუდ გავლენას მოახდენდა მოგების მიღებაზე.

(გაგრძელება იქნება.)

გაზეთი ცხოვრების სარკეა.

წაიკითხეთ და წერა-კითხვის უცოდინართ გაუზიარეთ,
მისი შინაარსი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

ჩვენს გაზეთ „წითელ-არმიელში“ № 115-სა და 117-ში მოთავსებული იყო წერილები **სანისა** და **ღარისხეველის** ფსევდონიმით, საინჟინერო ათასეულის შესახებ; როგორც პირველში, ისე მეორე წერილში მოთავსებული ცნობები, სინამდვილეს არ შეეფერება.

ამისათვის, გთხოვთ ნება მომცეთ სინამდვილის აღსადგენათ მუხლობრივ შევეხო იმათ მიერ გამოქვეყნებულ ცნობებს:

1) სისუფთავის შესახებ: ათასეულში არსებობს სამრეცხველო თითქმის მეათე თვეა, სადაც ყველა ასეულებს და ჯგუფებს რიგ-რიგობით უხდება ტანთსაცმელების ჩაბარება გასარეცხად, ხოლო კვირაში ერთხელ.

ივნისში, ათასეული გაგზავნილი იყო საავგარაკოთ დაბა მანგლისში, სადაც სამრეცხველოს მოქმედება სწარმოებდა ჩვეულებრივათ.

ნაწილი ათასეულისა, დარჩა თბილისში და აქაც სწარმოებდა სამრეცხველოს მოქმედება.

ათასეული ყოველივე ღონისძიებას ხმარობს სისუფთავის დასაცავათ.

2) აბანოში ორი თვე წაუსვლელობა: რაც შეეხება ამ ცნობას, ვიტყვით, რომ ათასეულის საავგარაკოთ წასვლამდე წითელ ლაშქრელები აბანოში იგზავნებოდა თანახმად უმაღლეს ინსტანციიდან მიღებულ ცხრილისა, რის საშუალებითაც ყველა წითელ ლაშქრელებს შეეძლო აბანოში წასვლა 15 დღეში ერთხელ, რაიც სათანადო ბრძანებულებით ათასეულისადმი, სრულდებოდა.

ათასეულის საავგარაკოთ ყოფნისას, არ გვქონდა აბანო, სამაგიეროთ წითელ ლაშქრელები მდინარეში ბანაობდნენ.

რაც შეეხება „ღარისხევლის“ განცხადებას, რომ წითელ ლაშქრელები საავგარაკოდან დაბრუნებისას (24 სექტემბერს) აბანოში არ გაუგზავნიათო, ამაზედ ვუპასუხებ, რომ დაბრუნებისას მესამე დღეს დაიწყო სამრეცხველომ მოქმედება, და როცა ტანთსაცმელები თბილისში მყოფ წითელ ლაშქრელებისა, იქმნა გარეცხილი, ათასის თავის ბრძანებით, 3 ოქტომბრიდან ყველანი, გარდა განწესებისა, გაიგზავნა აბანოში.

3) საპნის წითელ ლაშქრელთათვის დაურიგებლობა; როგორც ზევით აღვნიშნეთ ათასეულის სამრეცხველოში სისტემატიურათ ირეცხება წითელ ლაშქრელთა ტანთსაცმელი და მათი კუთვნილი სახაზინო საპონი იხარჯება იქ, რის გამოც ხელზედ ვერ მიეცემოდა.

მეთაურთა შემადგენლობა და თანამშრომლები ღებულობენ ხელზედ კუთვნილ საპონს.

ყველა ზემო აღნიშნულ ფაქტებს მიმართულს „სანის“ და „ღარისხეველის“ წინააღმდეგ, თან უდევს საფუძველი, რაზედაც ვამყარებ ცნობების სიმართლეს, და თუ მოისურვებენ განხილვას, ჩვენ მზათა ვართ მათის სურვილის შესრულებაზედაც.

მებინადრე **ბილიხაძე.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორი—პ. ქუთათელაძე.